ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1-100

" 27 " თებერვალი 2024 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის, 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის სრულყოფილად შედგენის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ქ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე და 77-ე მუხლების, „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებით დამტკიცებული დანართი 4-ის თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის მიზნით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი - სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) - სამუშაო ჯგუფის წევრი;

გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები - სამუშაო ჯგუფის წევრები;

დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ე) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ვ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ზ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

თ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ი) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

კ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ლ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

მ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ნ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ო) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

პ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ჟ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

რ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგებელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ს) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგებელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ტ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

უ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგებელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ფ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგებელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ქ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგებელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ღ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგებელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ყ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

შ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებელი - სამუშაო ჯგუფის წევრი.

2. დაევალოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს (ს/ნ 205270053), ქონების მართვის სააგენტოს (ს/ნ 205296375), ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს (ს/ნ 205316399), ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (ს/ნ 205296375), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს: თბილისის განვითარების ფონდს (ს/ნ 404384974), მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს (ს/ნ 405026877), თბილისის მუნიციპალურ ლაბორატორიას (ს/ნ 402008046), თბილისის ზოოლოგიურ პარკს (ს/ნ 404902414), საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღს (ს/ნ 404405960), სოციალური მზრუნველობის სააგენტოს (ს/ნ 405382081), ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს (ს/ნ 404905475) და საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტოს (ს/ნ 405255165) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შედგენისათვის

2024 წლის 1 ივლისამდე მოამზადონ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურში წარმოადგინონ:

ა) საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის 2023 წლის შეფასება და ინფორმაცია 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ, პირველი და მე-2 დანართების მიხედვით;

ბ) ინფორმაცია 2025-2028 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და საშუალოვადიანი ბიუჯეტის შესახებ, მე-3 და მე-4 დანართის შესაბამისად, 2024-2027 წლების პრიორიტეტის დოკუმენტით მათთვის განსაზღვრული ასიგნებების ზღვრული მოცულობის ფარგლებში;

გ) არაუგვიანეს 15 სექტემბრისა შევსებული საბიუჯეტო განაცხადის ფორმები (ამ ბრძანების მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ასიგნებების და რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების ფარგლებში), დამატებითი ასიგნებების მოთხოვნებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. სტრუქტურულმა ერთეულებმა, რაიონის გამგეობებმა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ინიცირება, რომელიც უნდა დაიწყოს 2025-2028 წლების საშუალოვადიან პერიოდში, განახორციელონ „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის N65 დადგენილების შესაბამისად და ინფორმაცია ასახონ თავიანთ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებში და საბიუჯეტო განაცხადებში (მათ შორის 20 მლნ ლარისა და მეტი ღირებულების საინვესტიციო/კაპიტალური პროექტები უნდა გამოიყოს პროგრამის/ქვეპროგრამის სახით, ცალკე პროგრამულ კოდად).

4. საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულმა ერთეულებმა, რაიონის გამგეობებმა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადების პროცესში, უზრუნველყონ მოქალაქეთა ჩართულობის მხარდაჭერა შესაბამისი სფეროს სხვადასხვა ფოკუს-ჯგუფში.

5. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების ბიუჯეტების შემოსულობებისა და გადასახდელების ოპტიმალური ვარიანტის შედგენის მიზნით უზრუნველყოს:

ა) შემუშავებული ფორმებისა და გაანგარიშებითი ცხრილების მიწოდება:

ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციისთვის – მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევებიდან და სხვადასხვა სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან მისაღები ჯარიმების, საურავების საპროგნოზო მაჩვენებლების გასაანგარიშებლად;

ა.ბ) სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთვის – ტრანსპორტის სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან მისაღები

ჯარიმების, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე და საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე სანებართვო მოსაკრებლის საპროგნოზო მაჩვენებლების გასაანგარიშებლად;

ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისთვის – დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის საპროგნოზო მაჩვენებლების გასაანგარიშებლად;

ა.დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოსთვის _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მისაღები დივიდენდების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული ქონების (მ.შ მიწის) გაყიდვიდან და იჯარიდან მისაღები შემოსავლების პროგნოზის შესადგენად;

ა.ე) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისთვის – მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის საპროგნოზო მაჩვენებლების შესადგენად;

ა.ვ) სტრუქტურულ ერთეულებზე, რაიონის გამგეობებზე და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებზე – 2025-2028 წლებისათვის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროგრამების და ქვეპროგრამებისათვის საჭირო საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშებების შესადგენად.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების ბიუჯეტის პროექტის განხილვის ყველა სტადიაზე თანამშრომლობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან და სსიპ შემოსავლების სამსახურთან საგადასახადო შემოსავლების (ქონების გადასახადი და დამატებული ღირებულების გადასახადი) და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერების მაჩვენებლების განსაზღვრის უზრუნველსაყოფად.

გ) არაუგვიანეს 15 აგვისტომდე პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის წარდგენა სამუშაო ჯგუფისთვის, რომელსაც იწონებს მუნიციპალიტეტის მერი შესაბამისი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.

დ) არაუგვიანეს 15 აგვისტოს სამუშაო ჯგუფთან შეთანხმებით საბიუჯეტო განაცხადის ფორმების მომზადება (პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და საბიუჯეტო ორგანიზაციების, ასიგნებების და დასაქმებულთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების განსაზღვრა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განსახილველად.

ე) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მხედველობაში მიღებით, არაუგვიანეს 1 სექტემბრისა, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დოკუმენტის სამუშაო ჯგუფისთვის წარდგენა და დამტკიცება შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ვ) არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტის განსახილველად წარდგენა სამუშაო ჯგუფისთვის.

ზ) 2024 წლის 15 ნოემბრამდე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის და 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტის წარდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განსახილველად.

თ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის წარდგენა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის, თანდართულ მასალებთან და პრიორიტეტების დოკუმენტთან ერთად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არაუგვიანეს მიმდინარე წლის 15 ნოემბრისა.

ი) ბიუჯეტის პროექტის მომზადება საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტების ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 27 თებერვლის N1-82 ბრძანება.

7. ბრძანების შესრულების კონტროლი დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

8. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის 2023 წლის შეფასება

(დასახელება)

ათასი ლარი

2023 წელს პრიორიტეტებისა და მათში შემავალი პროგრამების/ ქვეპროგრამების დასახელება		2023 წლის ფაქტი	2023 წლის მიღწეული შედეგები	მიღწეული შედეგების შეფასების ინდიკატორები
პროგრამების/ქვეპროგრამების დასახელება	(პროგრამული კოდი)			
I. **პრიორიტეტი**				
მ.შ. პროგრამები/ ქვეპროგრამები				
1. პროგრამა/ქვეპროგრამა				
2. პროგრამა/ქვეპროგრამა				
3. პროგრამა/ქვეპროგრამა				
II. **პრიორიტეტი**				
მ.შ. პროგრამები/ ქვეპროგრამები				
1. პროგრამა/ქვეპროგრამა				
2. პროგრამა/ქვეპროგრამა				
3. პროგრამა/ქვეპროგრამა				

ინფორმაცია 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ

_____

(დასახელება)

ათასი ლარი

2024 წელს პრიორიტეტებისა და მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები/ ქვეპროგრამები		2024 წლის გეგმა	2024 წლის მოსალოდნელი შედეგები	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი *	
პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	(პროგრამული კოდი)			საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი
I. პრიორიტეტი					
მ.შ. პროგრამები/ ქვეპროგრამები					
1. პროგრამა/ქვეპროგრამა					
2. პროგრამა/ქვეპროგრამა					
3. პროგრამა/ქვეპროგრამა					
II. პრიორიტეტი					
მ.შ. პროგრამები/ ქვეპროგრამები					
1. პროგრამა/ქვეპროგრამა					
2. პროგრამა/ქვეპროგრამა					
3. პროგრამა/ქვეპროგრამა					
სულ					

*** შენიშვნა:** ივსება 2024 წლის დაზუსტებული მონაცემები

საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა 2025-2028 წლისათვის

პრიორიტეტის დასახელება ----------

1. პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ----------

პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია ----------

პროგრამის აღწერა და მიზანი ----------

პროგრამა წარმოადგენს ახალი პოლიტიკის მიმართულებას [1] ----------

დაფინანსების წყარო ----------

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი, ასიგნებების ზღვრული მოცულობის პირობებში --------

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი, დამატებითი დაფინანსების პირობებში ----------

პროგრამის განხორციელების ვადები [2]----------

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები [3]:

№	დასახელება	ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება
1.	**ინდიკატორის დასახელება[4]**		
	საბაზისო მაჩვენებელი[5]		
	მიზნობრივი მაჩვენებელი[6]		
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)		
	შესაძლო რისკები		
2.	**ინდიკატორის დასახელება[4]**		
	საბაზისო მაჩვენებელი[5]		
	მიზნობრივი მაჩვენებელი[6]		
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)		
	შესაძლო რისკები		

*** შენიშვნა:**

1. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა წარმოადგენს ახალი პოლიტიკის ნაწილს, ახალი პოლიტიკის მიმართულებაზე ცალკე ივსება ამ მიმართულების აღწერა, მოსალოდნელი საბოლოო შედეგები და შეფასების ინდიკატორები. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის ფარგლებში რომელიმე ქვეპროგრამა/ღონისძიება წარმოადგენს ახალი პოლიტიკის მიმართულებას, აღნიშნული ცალკე ქვეპროგრამის/ღონისძიების სახით უნდა გამოიყოს და მიეთითოს შესაბამისი აღწერა, შედეგები და შეფასების ინდიკატორები;
2. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა დაიწყო ან დასრულდა საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში (4 წლიანი პერიოდი) უნდა მიეთითოს პროგრამის დაწყების და დასრულების თარიღები; იმ შემთხვევაში თუ პროგრამა მუდმივად ხორციელდება უნდა მიეთითოს „მუდმივი";
3. სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროებიდან გამომდინარე, გენდერულად სენსიტიურ პროგრამებთან მიმართებაში სასურველია ერთერთ ინდიკატორად მიეთითოს პროგრამის გენდერულ ასპექტში შეფასების ინდიკატორი;
4. ივსება ინდიკატორის დასახელება, მაგ: პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციართა (სპეციფიკის გათვალისწინებით), აშენებული/რეაბილიტირებული ობიექტების (ბაღი, გზა, სხვადასხვა ნაგებობები), ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა, კონკრეტული სპეციფიკის გათვალისწინებით.
5. ივსება 2024 წლის ბოლომდე მოსალოდნელი მონაცემები, დამატებით შესაძლებელია მიეთითოს 2023 წლის ფაქტობრივი მონაცემები.
6. მიზნობრივი მაჩვენებელი ივსება საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოსთვის (2028 წლის ბოლოსთვის).

1.1 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ----------

ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია ----------

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი ----------

ქვეპროგრამა წარმოადგენს ახალი პოლიტიკის მიმართულებას[7] ----------

დაფინანსების წყარო ----------

მოსალოდნელი შუალედური შედეგი, ასიგნებების ზღვრული მოცულობის პირობებში ------

მოსალოდნელი შუალედური შედეგი, დამატებითი დაფინანსების პირობებში ----------

ქვეპროგრამის განხორციელების ვადები[8] ----------

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები[9]:

№	დასახელება	2025 წელი		2026 წელი		2027 წელი		2028 წელი	
		ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება	ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება	ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება	ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება
1.	**ინდიკატორის დასახელება**[10]								
	საბაზისო მაჩვენებელი[11]								
	მიზნობრივი მაჩვენებელი								
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)								
	შესაძლო რისკები								
2.	**ინდიკატორის დასახელება**[10]								
	საბაზისო მაჩვენებელი[11]								
	მიზნობრივი მაჩვენებელი								
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)								
	შესაძლო რისკები								

★ შენიშვნა:

7. იმ შემთხვევაში, თუ ქვეპროგრამა წარმოადგენს ახალი პოლიტიკის ნაწილს, ახალი პოლიტიკის მიმართულებაზე ცალკე ივსება ამ მიმართულების აღწერა და მიზანი, მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები. იმ შემთხვევაში, თუ ქვეპროგრამის ფარგლებში რომელიმე ღონისძიება წარმოადგენს ახალი პოლიტიკის მიმართულებას, აღნიშნული ცალკე ღონისძიების სახით უნდა გამოიყოს და მიეთითოს შესაბამისი აღწერა, შედეგები და შეფასების ინდიკატორები;

8. იმ შემთხვევაში, თუ ქვეპროგრამა დაიწყო ან დასრულდა საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში (4 წლიანი პერიოდი) უნდა მიეთითოს ქვეპროგრამის დაწყების და დასრულების თარიღები; იმ შემთხვევაში თუ ქვეპროგრამა მუდმივად ხორციელდება უნდა მიეთითოს „მუდმივი";

9. სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროებიდან გამომდინარე, გენდერულად სენსიტიურ ქვეპროგრამებთან მიმართებაში სასურველია ერთერთ ინდიკატორად მიეთითოს ქვეპროგრამის გენდერულ ასპექტში შეფასების ინდიკატორი;

10. ივსება ინდიკატორის დასახელება, მაგ: ქვეპროგრამის მოსარგებლე ბენეფიციართა (სპეციფიკის გათვალისწინებით), აშენებული/რეაბილიტირებული ობიექტების (ბაღი, გზა, სხვადასხვა ნაგებობები), ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა, კონკრეტული სპეციფიკის გათვალისწინებით.

11. ივსება 2024 წლის ბოლომდე მოსალოდნელი მონაცემები, დამატებით შესაძლებელია მიეთითოს 2023 წლის ფაქტობრივი მონაცემები.

1.1.1 ღონისძიების დასახელება ----------

ღონისძიების განმახორციელებელი ორგანიზაციები ----------

ღონისძიების აღწერა და მიზანი ----------

ღონისძიება წარმოადგენს ახალი პოლიტიკის მიმართულებას [12] ----------

დაფინანსების წყარო ----------

მოსალოდნელი შუალედური შედეგი, ასიგნებების ზღვრული მოცულობის პირობებში ---------

მოსალოდნელი შუალედური შედეგი, დამატებითი დაფინანსების პირობებში ----------

ღონისძიების განხორციელების ვადები [13] ----------

ღონისძიების მოსალოდნელი შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები [14]:

№	დასახელება	2025 წელი		2026 წელი		2027 წელი		2028 წელი	
		ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება	ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება	ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება	ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება
1.	**ინდიკატორის დასახელება** [15]								
	საბაზისო მაჩვენებელი[16]								
	მიზნობრივი მაჩვენებელი								
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)								
	შესაძლო რისკები								
2.	**ინდიკატორის დასახელება** [15]								
	საბაზისო მაჩვენებელი[16]								
	მიზნობრივი მაჩვენებელი								
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)								
	შესაძლო რისკები								

*** შენიშვნა:**

12. იმ შემთხვევაში, თუ ღონისძიება წარმოადგენს ახალი პოლიტიკის ნაწილს, ახალი პოლიტიკის მიმართულებაზე ცალკე ივსება ამ მიმართულების აღწერა და მიზანი, მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები.

13. იმ შემთხვევაში, თუ ღონისძიება დაიწყო ან დასრულდა საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში (4 წლიანი პერიოდი) უნდა მიეთითოს ღონისძიების დაწყების და დასრულების თარიღები; იმ შემთხვევაში თუ ღონისძიება მუდმივად ხორციელდება უნდა მიეთითოს „მუდმივი";

14. სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროებიდან გამომდინარე, გენდერულად სენსიტიურ ღონისძიებებთან მიმართებაში სასურველია ერთერთ ინდიკატორად მიეთითოს ღონისძიების გენდერულ ასპექტში შეფასების ინდიკატორი;

15. ივსება ინდიკატორის დასახელება, მაგ: ღონისძიების მოსარგებლე ბენეფიციართა (სპეციფიკის გათვალისწინებით), აშენებული/რეაბილიტირებული ობიექტების (ბაღი, გზა, სხვადასხვა ნაგებობები), ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა, კონკრეტული სპეციფიკის გათვალისწინებით.

16. ივსება 2024 წლის მოსალოდნელი საბოლოო მონაცემები, დამატებით შესაძლებელია მიეთითოს 2023 წლის ფაქტობრივი მონაცემები.

2025-2028 წლების საშუალოვადიანი ბიუჯეტი

(დასახელება)

პრიორიტეტებისა და მათში შემავალი პროგრამების/ ღონისძიებების დასახელება		მთლიანად მიმართული სახსრები (ათას ლარებში)										განმარტება/შენიშვნა*
		სულ		2025 წელი		2026 წელი		2027 წელი		2028 წელი		
დასახელება		ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება	ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება	ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება	ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება	ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება	
ინფორმაცია არსებული (საბაზისო) პოლიტიკის ფარგლებში:												
	პრიორიტეტი სულ											
1	პროგრამა											
1.1	ქვეპროგრამა											
1.1.1	ღონისძიება 1											
1.1.2	ღონისძიება 2											
1.2	ქვეპროგრამა											
1.2.1	ღონისძიება 1											
1.2.2	ღონისძიება 2											
2	პროგრამა											
2.1	ქვეპროგრამა											
2.1.1	ღონისძიება 1											
2.1.2	ღონისძიება 2											
2.2	ქვეპროგრამა											
2.2.1	ღონისძიება 1											
2.2.2	ღონისძიება 2											
ინფორმაცია ახალი პოლიტიკის ფარგლებში:												
	პრიორიტეტი სულ											
1	პროგრამა											
1.1	ქვეპროგრამა											
1.1.1	ღონისძიება 1											
1.1.2	ღონისძიება 2											
1.2	ქვეპროგრამა											
1.2.1	ღონისძიება 1											
1.2.2	ღონისძიება 2											
2	პროგრამა											
2.1	ქვეპროგრამა											
2.1.1	ღონისძიება 1											
2.1.2	ღონისძიება 2											
2.2	ქვეპროგრამა											
2.2.1	ღონისძიება 1											
2.2.2	ღონისძიება 2											

შენიშვნა * 2024 წლის შესაბამისი პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობით უკვე მიღებული/გათვალისწინებული ახალი ვალდებულებებისა და ახალი პოლიტიკის განხორციელებასთან მიმართებაში მიეთითება შესაბამისი ახალი ვალდებულების შესრულების კონკრეტული საფუძველი და შესაბამისი განმარტება და ახალი პოლიტიკის განხორციელების დასაბუთება; ამასთან, დანართს თან უნდა ახლდეს დამატებითი ინფორმაცია არსებული და ახალი პოლიტიკის განხორციელების შესახებ